

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

04.05.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის

„ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამიდან“

თანხის გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 3 მაისის N02/5259 მომართვის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გოგია) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის „ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამიდან“ (კოდი 060202) 1000 (ათასი) ლარი გასცეს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ოდენებების მფლობელის შოთა თოდუას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მის ოჯახს;
2. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში;
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. N12)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია